საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1182 2020 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

2020 წლის რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ

1. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის (პროგრამული კოდი: 31 03) „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ღვინის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირებისგან (შემდგომში – ყურძნის ჩამბარებელი) კახეთის რეგიონში მოწეული 1 კგ ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ ღვინის კომპანიებზე სუბსიდიის გაცემა შემდეგი ოდენობით:

ა) 1 კგ რქაწითელისათვის – 0,30 ლარი;

ბ) 1 კგ კახური მწვანისათვის – 0,30 ლარი.

2. დაევალოს სააგენტოს, 2020 წლის რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შექმნას სამუშაო

ჯგუფი (შემდგომში – რთვლის საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

3. დაევალოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციას ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რთვლის საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით კანდიდატურების წარდგენა სააგენტოსათვის.

4. ეთხოვოთ ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს, უზრუნველყონ სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებს, რომლებიც არ ეკუთვნიან კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს, მათ მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად ყურძნის ჩამბარებლებზე ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობების გაცემა.

5. ყვარლის მუნიციპალიტეტისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქ. გურჯაანსა და შემდეგ სოფლებში: ვაჩნაძიანი, კალაური, შაშიანი, ვაზისუბანი, მუკუზანი, ველისციხე, ახაშენი, ჩუმლაყი – მოწეული საფერავის ჯიშის ყურძნის ჩაბარება/მიღება რთვლის მიმდინარეობისას განხორციელდეს მხოლოდ მევენახეობის შესაბამის მიკროზონებში სააგენტოს მიერ გაცემული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის საფუძველზე.

6. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების მიმდინარეობისას უზრუნველყოს ყურძნის ჩაბარების პროცესზე კონტროლი, წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

7. ღვინის კომპანიები, რომლებსაც 2020 წლის რთვლის განმავლობაში განზრახული აქვთ ყურძნის მიღება-გადამუშავება, ვალდებულნი არიან:

ა) გაიარონ რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით რთვლის საკოორდინაციო შტაბში;

ბ) უზრუნველყონ ღვინის კომპანიების არანაკლებ 10 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით აღჭურვა;

გ) უზრუნველყონ ყურძნის მიღება-ჩაბარების პუნქტის ვიდეოკონტროლის სისტემით აღჭურვა (არანაკლებ 3 ვიდეოკამერა, ინტერნეტის სიჩქარე = 1 მბ/წმ კამერების რაოდენობაზე, სტატიკური გარე IP მისამართი, მონიტორინგის ცენტრიდან ჩამწერამდე წვდომების გახსნა, ვიდეოჩამწერის მომხმარებელი კამერებზე ადმინისტრირების უფლებით, ვიდეოჩამწერი თავსებადი მონიტორინგის პროგრამასთან iVMS-4200 (ვერსია 3.3.0.4 ან მეტი), კამერა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი ღამის ხედვის ფუნქციით, ყურძნის მიღებისა და გადამუშავების პროცესის სრული ჩანაწერი (არქივის შენახვა წლის ბოლომდე), რომლის საშუალებით განხორციელდება სასწორზე მანქანის ძარის, სასწორის მაჩვენებლისა და ყურძნის გადასამუშავებელი საცავის (ე. წ. „ბუნკერის“) კონტროლი;

დ) ყურძნის მიღება-გადამუშავება განახორციელონ:

დ.ა) სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული სასწორებით აღჭურვილ საწარმოში;

დ.ბ) ყურძნის ჩამბარებლის მიერ ყოველი პარტიისათვის ამ განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის წარდგენის, ხოლო ამ განკარგულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის ერთჯერადად წარდგენის შემთხვევაში.

8. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული სუბსიდიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ ღვინის კომპანიას, რომელსაც დაცული აქვს ამავე განკარგულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირობები და რომელიც:

ა) ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესის დაწყებამდე სააგენტოსთან გააფორმებს ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება);

ბ) 2020 წლის რთვლის განმავლობაში შეისყიდის და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 1000 (ათასი) ტონა რქაწითელის ან/და კახური მწვანის ჯიშის ყურძენს;

გ) შესყიდული 1 კგ რქაწითელის ან/და კახური მწვანის ჯიშის ყურძნის სანაცვლოდ ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 0,80 ლარს;

დ) 2020 წლის 1 დეკემბრამდე სააგენტოს წარუდგენს:

დ.ა) ყურძნის ჩაბარების თაობაზე ყურძნის ჩამბარებელსა და ღვინის კომპანიას შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/სააგენტოს, ღვინის კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლები და ყურძნის ჩამბარებელი;

დ.ბ) ყურძნის ჩამბარებლისთვის/ჩამბარებლებისთვის რქაწითელის ან/და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ არანაკლებ 0,80 ლარის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

9. იმ შემთხვევაში, თუ ღვინის კომპანიას არ აქვს დასრულებული ყურძნის მიღების პროცესი და სააგენტოსათვის წარდგენილ განზრახვაში დაფიქსირებული აქვს არანაკლებ 1000 (ათასი) ტონა ყურძნის – რქაწითელის ან/და კახური მწვანის მიღების შესახებ ინფორმაცია, მას უფლება აქვს, მიიღოს სუბსიდიის თანხა, რისთვისაც ღვინის კომპანია ვალდებულია, 2020 წლის რთვლის მიმდინარეობის პროცესში წარადგინოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად კომერციული ბანკის მიერ სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია (ბენეფიციარი – სააგენტო), რომლის ოდენობაც 10%-ით უნდა აღემატებოდეს ღვინის კომპანიის მიერ მისაღები სუბსიდიის თანხას.

10. ღვინის კომპანიაზე ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული სუბსიდია გაიცემა ამ განკარგულების მე-8-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სააგენტოში წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

11. ამ განკარგულების მე-7 პუნქტის „გ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების მოთხოვნა არ გავრცელდეს მცირე ზომის მარნებზე.

12. ღვინის კომპანიის მიერ ამ განკარგულებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ღვინის კომპანიის მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტიის თანხა სრულად მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

13. ღვინის კომპანიების მიერ ყველა კატეგორიის ღვინის წარმოება დასაშვებია მხოლოდ რთვლის საკოორდინაციო შტაბის მიერ აღრიცხული ყურძნისაგან.

14. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების: „ქინძმარაულის“, „მუკუზნის“, „ყვარლისა“ და „ახაშენის“ დასამზადებლად განკუთვნილი საფერავის ჯიშის ყურძნის მოსავლიანობა 1 ჰა ვენახიდან განისაზღვროს არა უმეტეს 10 (ათი) ტონის ოდენობით. ამ მაჩვენებელს ზევით მოწეული ყურძენი დასაშვებია, გამოყენებულ იქნეს სხვა კატეგორიის ღვინოების წარმოებაში.

15. ღვინის კომპანია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ყურძნის ყოველდღიური მიღების განზრახვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება რთვლის საკოორდინაციო შტაბისათვის;

ბ) მოახდინოს ყურძნის გადამუშავების შედეგად დარჩენილი ჭაჭის გამოხდა ან მისი სხვა სახით გამოყენება/განადგურება და არ დაუშვან ჭაჭის ფიზიკური პირებისთვის გადაცემა.

16. ეთხოვოთ თვითმმართველი ქალაქების აღმასრულებელ ორგანოებს 2020 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ადგილების გამოყოფა.

17. ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს მის მმართველობაში არსებული სს „აკურის“ (ს/კ: 231165583) მიერ 2020 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

18. სააგენტოს დაევალოს, ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, სს „აკურის“ ანგარიშზე მიმართოს 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარი, სუბსიდიის სახით.

19. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოზე არ გავრცელდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა, რომ 2020 წლის 15 ივლისიდან 2020 წლის 15 დეკემბრამდე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა („საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის №328 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით სააგენტოს, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გარდა) დამატებით განესაზღვროს არა უმეტეს 180 (ას ოთხმოცი) ერთეულით, რომელთა ანაზღაურება უნდა განხორციელდეს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**